

**საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული
დახმარების საკითხთა მინისტრის**

ბრძანება №160

2010 წლის 16 ნოემბერი

ქ. თბილისი

**პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების,
თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, თავისუფლების
აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების
გამოყენებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის
აღსრულების წესის განსაზღვრის თაობაზე**

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №158 -
ვებგვერდი, 04.11.2015 წ.*

„პატიმრობის კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-7 ნაწილის, 27-ე მუხლის მე-
14 ნაწილის, 78-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის
პირველი ნაწილის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების,
თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, თავისუფლების აღკვეთის
დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და
თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულების თანდართული
წესი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სასჯელაღსრულების დაწესებულების დროებით დატოვების,
სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, სასჯელაღსრულების
დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და
სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულების წესის განსაზღვრის
თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა
მინისტრის 2009 წლის 14 სექტემბრის № 566 ბრძანება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხ. კალმახელიძე

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 აპრილის ბრძანება №68 -
ვებგვერდი, 23.04.2014 წ.

2. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №158 -
ვებგვერდი, 04.11.2015 წ.

**პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებითი დატოვების,
თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, თავისუფლების
აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების
გამოყენებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის
აღსრულების წესი**

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესის მოქმედება, რეგულირების სფერო და მიზნები

1. ეს წესი მიღებულია „პატიმრობის კოდექსის“ საფუძველზე და აწესრიგებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვებასთან, მსჯავრდებულთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლასთან, დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან და დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

2. ამ წესის მიზანია ხელი შეუწყოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაციასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

მუხლი 2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პასუხისმგებლობა

1. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა, რომელიც დაარღვევს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს, პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად.

2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ ამ წესით დადგენილი ნორმების დარღვევა, რაც არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად და გამოიწვევს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

3. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაწესებულების დროებით დატოვების ან მსჯავრდებულთა დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის წინ უნდა გაფრთხილდეს ამ წესის დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელ პასუხისმგებლობაზე და ხელი მოაწეროს გაფრთხილების ბარათს (დანართი №2).

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №158 - ვებგვერდი, 04.11.2015 წ.

თავი II

დაწესებულების დროებით დატოვება

მუხლი 3. დაწესებულების დროებით დატოვება განსაკუთრებულ პირად გარემოებებთან დაკავშირებით

1. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შეიძლება უფლება მიეცეს განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით დროებით დატოვოს დაწესებულების ტერიტორია, თუ მიღებულია სარწმუნო ცნობა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით ან მსჯავრდებულთა სოციალური აქტივობის განსახორციელებლად, აგრეთვე, თუ აუცილებელია ბრალდებულთა მონაწილეობა საგამომიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში.

2. საგამომიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მსჯავრდებულთა მონაწილეობის აუცილებლობის შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს საპროცესო მოქმედებაში მსჯავრდებულთა მონაწილეობას.

3. განსაკუთრებულ პირად გარემოებებთან დაკავშირებით დაწესებულების დროებით დატოვების უფლების მისაღებად მსჯავრდებულთა ან მისი დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი ან ახლო ნათესავი შუამდგომლობით მიმართავს დაწესებულების დირექტორს. შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს დაწესებულების დროებით დატოვების მოტივი და დანიშნულების ადგილი, სადაც მსჯავრდებულმა უნდა გაატაროს დაწესებულების ფარგლებს გარეთ ყოფნისათვის განკუთვნილი დრო. განცხადებას თან უნდა დაერთოს განსაკუთრებული პირადი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები.

4. ბრალდებულის მიერ დაწესებულების დროებით დატოვების ნებართვას გასცემს გამომძიებელი ან პროკურორი, რომელიც წერილობით ეგზავნება დაწესებულებასა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტს (შემდგომში – დეპარტამენტი).

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №158 - ვებგვერდი, 04.11.2015 წ.

მუხლი 4. დაწესებულების დროებით დატოვების უფლების მიღება

1. დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით დაწესებულების დროებით დატოვების უფლება ეძლევათ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს, დაწესებულების დირექტორის წარდგინებით მათი პიროვნებისა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით. ბრალდებულს დაწესებულების დროებით დატოვების უფლება ეძლევა ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში დეპარტამენტის დირექტორი ადგენს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის გამცილებელი თანამშრომლების რაოდენობას. გაცილება ხორციელდება დაწესებულებიდან დანიშნულების ადგილამდე და უკან. ბრალდებული/მსჯავრდებული ვალდებულია არ დაემალოს გამცილებელ თანამშრომლებს და დაემორჩილოს მათ კანონიერ მოთხოვნებს.

3. დაწესებულების დროებით დატოვების დროს გამცილებელ თანამშრომლებს გადაეცემა ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოძრაობის ბარათი (დანართი №1).

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №158 - ვებგვერდი, 04.11.2015 წ.

მუხლი 5. დაწესებულების დროებითი დატოვების ვადა

1. მსჯავრდებულის მიერ დაწესებულების დროებით დატოვების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 დღეს, ხოლო ბრალდებულის მიერ დაწესებულების დროებითი დატოვების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 დღეს. აღნიშნულ ვადებში შედის ბრალდებულის/მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.

2. დაწესებულების დროებით დატოვების ვადა შედის პატიმრობის/სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №158 - ვებგვერდი, 04.11.2015 წ.

მუხლი 6. დაწესებულების დროებით დატოვების ხარჯები

1. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ დაწესებულების დროებით დატოვების ხარჯები გადაიხდება მისი ან მისი ოჯახის სახსრებიდან, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც დაკავშირებულია გაყვანასთან საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად.

2. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს მიიღოს მისი კუთვნილი სამოქალაქო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი დაწესებულების დროებით დატოვების პერიოდისათვის.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №158 - ვებგვერდი, 04.11.2015 წ.

მუხლი 7. დაწესებულების დროებით დატოვების პერიოდში ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაავადმყოფება

1. თუ ბრალდებული/მსჯავრდებული დაწესებულების დროებით დატოვების პერიოდში დაავადმყოფდა და აუცილებელია მისი ჰოსპიტალიზაცია, გამცილებელი მოსამსახურეები დაუყოვნებლივ აცნობებენ ამის თაობაზე დაწესებულებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება მოთავსდეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში ან სხვა უახლოეს საერთო

პროფილის საავადმყოფოში. თუ მსჯავრდებული ჰოსპიტალიზებულია საერთო პროფილის საავადმყოფოში, მკურნალობის განმავლობაში ამოიწურა დაწესებულების დროებით დატოვების ვადა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე შესაძლებელია მისი ტრანსპორტირება, ბრალდებული/მსჯავრდებული გადაჰყავთ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში. გადაწყვეტილებას ბრალდებულის/მსჯავრდებულის ტრანსპორტირების თაობაზე იღებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი მკურნალ ექიმთან შეთანხმებით.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 აპრილის ბრძანება №68 - ვებგვერდი, 23.04.2014 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №158 - ვებგვერდი, 04.11.2015 წ.

თავი III

დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა

მუხლი 8. დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის საფუძველი

1. მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის მოხდა განსაზღვრული აქვს ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში და რომლის მიმართაც არ მოქმედებს დისციპლინური სახდელი ან ადმინისტრაციული პატიმრობა, უფლება აქვს წელიწადში ორჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით.

2. არასრულწლოვნებს, აგრეთვე ფეხმძიმე ქალებს და 3 წლამდე ბავშვების დედებს უფლება აქვთ, წელიწადში სამჯერ ისარგებლონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით.

მუხლი 9. მსჯავრდებულის ხანმოკლე გასვლის უფლების მიღება

1. მსჯავრდებულის ხანმოკლე გასვლა ფორმდება დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით. მსჯავრდებულს (გარდა არასრულწლოვანი მსჯავრდებულისა) დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი.

2. არასრულწლოვან მსჯავრდებულს დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის ერთი მესამედი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის ნახევარი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის ორი მესამედი.

3. მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის დაწესებულებაში, დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებას აძლევს დეპარტამენტის დირექტორი, თუ დაკმაყოფილებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობები და, ამასთანავე, მსჯავრდებული დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსებულია:

ა) სამეურნეო მომსახურებაში ჩარიცხვის გამო;

ბ) პირადი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე;

გ) გადამდები ინფექციური დაავადებების გამო

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში, დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების მიუხედავად, შესაძლებელია

მსჯავრდებულს მიეცეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება.

5. დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლების მისაღებად, მსჯავრდებული ან მისი დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი ან ახლო ნათესავი შუამდგომლობით მიმართავს დეპარტამენტის დირექტორს. შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს ხანმოკლე გასვლის მოტივი და დანიშნულების ადგილი, სადაც მსჯავრდებულმა უნდა გაატაროს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლების გარეთ ყოფნის დრო, დანიშნულების ადგილამდე მისვლის მარშრუტი და ტრანსპორტირების საშუალება.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №158 - ვებგვერდი, 04.11.2015 წ.

მუხლი 10. მსჯავრდებულის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ საკითხის განხილვა, გასაჩივრება, ვადები

1. მსჯავრდებულის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ დადებით გადაწყვეტილებაში აღინიშნება მსჯავრდებულის ვინაობა, ადგილი, სადაც მსჯავრდებულმა უნდა გაატაროს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლების გარეთ ყოფნის დრო, დანიშნულების ადგილზე მისვლისა და უკან დაბრუნების მარშრუტი, ტრანსპორტირების საშუალება, მსჯავრდებულის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის დასაწყისი და დასასრული, უზრუნველყოფის ღონისძიება/ღონისძიებები და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

2. მსჯავრდებულის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების ასლი დაუყოვნებლივ იგზავნება დაწესებულებაში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში – პრობაციის ეროვნული სააგენტო) და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში.

3. მსჯავრდებულის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას დეპარტამენტის დირექტორი გამოითხოვს მსჯავრდებულის დეტალურ დახასიათებას. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მსჯავრდებულის პირადი საქმე.

4. მსჯავრდებულის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის საქმისწარმოებას ახორციელებენ დეპარტამენტისა და დაწესებულების შესაბამისი სამსახურები.

5. გადაწყვეტილების მიღებისას დეპარტამენტის დირექტორი ითვალისწინებს:

ა) მსჯავრდებულის ქცევას სასჯელის მოხდის პერიოდში;

ბ) მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში დისციპლინური, ადმინისტრაციული და წახალისების ღონისძიებების ფაქტებს;

გ) მსჯავრდებულის პიროვნებას;

დ) მსჯავრდებულის ოჯახურ მდგომარეობას;

ე) მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს;

ვ) დანიშნულების ადგილს, სადაც მსჯავრდებული გაატარებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებს გარეთ ყოფნის დროს;

ზ) დანიშნულების ადგილამდე და უკან მგზავრობის მარშრუტს და ტრანსპორტირების საშუალებას;

თ) სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს, რომლებიც დადებითად ან უარყოფითად ახასიათებს მსჯავრდებულს ან/და დაკავშირებულია მის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლასთან.

6. დახასიათების ან/და პირადი საქმის გამოთხოვა ხდება შუამდგომლობის მიღებიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა. დაწესებულება ვალდებულია წარადგინოს დახასიათება ან/და პირადი საქმე მოთხოვნის მიღებიდან ხუთ სამუშაო დღეში. დეპარტამენტის დირექტორი მსჯავრდებულის ხანმოკლე გასვლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამოთხოვილი მასალის

მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. მსჯავრდებულის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების აღსრულება იწყება მისი გამოტანიდან 10 დღის შემდეგ.

7. მსჯავრდებულის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ გადაწყვეტილების დედანი ინახება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტში. გადაწყვეტილების ასლს მსჯავრდებულს გააცნობს დაწესებულების შესაბამისი სამსახური, რასაც მსჯავრდებული გადაწყვეტილების მეორე მხარეს დაადასტურებს ხელმოწერით და დაერთვება მსჯავრდებულის პირად საქმეს. მსჯავრდებულის მიერ ხელმოწერაზე უარის შემთხვევაში იმავე გვერდზე კეთდება შენიშვნა.

8. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ მსჯავრდებულის მოთხოვნის არდაკმაყოფილების შემთხვევაში დეპარტამენტის დირექტორის მოტივირებული უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 აპრილის ბრძანება №68 - ვებგვერდი, 23.04.2014 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №158 - ვებგვერდი, 04.11.2015 წ.

მუხლი 11. დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიებები

1. დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დეპარტამენტის დირექტორს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი უზრუნველყოფის ღონისძიებები:

- ა) გირაო – არანაკლებ 2000 ლარისა;
- ბ) პირადი თავდებობა;
- გ) ელექტრონული კონტროლის (მონიტორინგის) საშუალება.

2. შესაძლებელია ხანმოკლე გასვლის უფლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა ერთობლივი გამოყენება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიების/ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ დეპარტამენტის დირექტორი შესაბამისი სამსახურის მეშვეობით შუამდგომლობის ავტორს აცნობებს დაწესებულებიდან გამოთხოვილი მასალის მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო შუამდგომლობის ავტორი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღეში წერილობით დაადასტუროს უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის მზადყოფნა. ასეთ შემთხვევაში, საკითხის განხილვის ვადა გაგრძელდება დადასტურების მიღების დღიდან.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №158 - ვებგვერდი, 04.11.2015 წ.

მუხლი 12. მსჯავრდებულის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ვადა

1. მსჯავრდებულის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა მითითებული უნდა იყოს დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებაში და არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.

2. დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.

3. დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ვადები მიეთითება შესაბამის მოწმობაში. თუ მსჯავრდებული ობიექტური მიზეზების გამო ვერ ახერხებს დაწესებულებაში დაბრუნებას განსაზღვრულ ვადაში, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო (შემდგომში – პრობაციის ბიურო) უფლებამოსილია გაუგრძელოს მას ვადა არა უმეტეს 2 დღისა.

4. ვადის გაგრძელების შემთხვევაში პრობაციის ბიურო დაუყოვნებლივ აცნობებს მიღებულ გადაწყვეტილებას დეპარტამენტსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ ქვედანაყოფს.

5. თუ მსჯავრდებული დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის პერიოდში მძიმედ დაავადმყოფდა ისე, რომ აუცილებელი გახდა მისი ჰოსპიტალიზაცია, იგი ვალდებულია ამის თაობაზე უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით დაუყოვნებლივ აცნობოს დაწესებულებას, პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ ქვედანაყოფს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დეპარტამენტის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულისათვის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ვადის ამოწურვისთანავე შესაბამის საერთო პროფილის სამკურნალო დაწესებულებაში ბადრაგის დანიშვნის თაობაზე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №158 - ვებგვერდი, 04.11.2015 წ.

მუხლი 13 . მსჯავრდებულის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხარჯები

გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა ელექტრონული კონტროლის (მონიტორინგის) მექანიზმის გამოყენების ხარჯებისა, გადაიხდება მისი ან მისი ოჯახის სახსრებით.

მუხლი 14. გირაო

1. გირაო არის ფულადი თანხა. ფულადი თანხა დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის სახით დაწესებულების დეპოზიტზე შეაქვს მსჯავრდებულის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს, მსჯავრდებულის ოჯახის წევრს ან მისი სახელით სხვა პირს დაწესებულებისათვის მიცემული წერილობითი ვალდებულებით მსჯავრდებულის სათანადო ქცევისა და დაწესებულებაში დროულად გამოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე, გირაოს მიღების შესახებ დგება ოქმი (დანართი №4), რომლის ერთი ასლი გადაეცემა გირაოს შემტანს.

2. დეპარტამენტის დირექტორი ითვალისწინებს გირაოს შემტანი პირის პიროვნებასა და მის ფინანსურ მდგომარეობას.

3. დეპარტამენტის დირექტორის მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, 3 სამუშაო დღის ვადაში ხდება გირაოს შეტანა დაწესებულების დეპოზიტზე.

4. გირაოს შეტანის წინ შემტანს გააცნობენ მსჯავრდებულისა და თავის ვალდებულებებს და აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-5 პუნქტში.

5. თუ მსჯავრდებულმა, რომელიც იმყოფება დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის რეჟიმში, არასაკმაყოფილო მიზეზით თავი აარიდა ვადის გასვლის შემდეგ დაწესებულებაში დაბრუნებას ან ჩაიდინა ახალი დანაშაული, მის მიმართ გამოყენებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, ხოლო გირაოს სახით შეტანილი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

6. მსჯავრდებულის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესაბამისი ვადის დაცვის, ნაკისრი ვალდებულების ზუსტად და კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა 2 კვირის ვადაში დაუბრუნდება გირაოს შემტანს.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №158 - ვებგვერდი, 04.11.2015 წ.

მუხლი 15. პირადი თავდებობა

1. პირადი თავდებობისას მსჯავრდებულის დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი ან მისი სახელით სხვა პირი კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ მსჯავრდებულის სათანადო ქცევასა და დადგენილ ვადაში მსჯავრდებულის დაწესებულებაში გამოცხადებას.

2. თავდებოთა რაოდენობას განსაზღვრავს დეპარტამენტის დირექტორი, გამონაკლის შემთხვევაში, თავდები შეიძლება იყოს ერთი განსაკუთრებით სანდო პირი.

3. პირადი თავდებობის არჩევა დასაშვებია მხოლოდ თავდებთა შუამავლობით ან თანხმობით, აგრეთვე მსჯავრდებულის თანხმობით. თითოეული თავდები იძლევა ხელწერილს თავდებობის შესახებ (დანართი №5), რომელიც დაერთვის მსჯავრდებულის პირად საქმეს.

4. თავდებს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლება არა აქვს თავი იმართლოს იმით, რომ მსჯავრდებულის საქციელის კონტროლის შესაძლებლობა არ ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის დაამტკიცებს დაუძლეველი ძალის მოქმედებას.

5. თუ მსჯავრდებული ჩაიდენს ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც გამოყენებულ იქნა თავდებობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით თითოეულ თავდებს დაეკისრება ფულადი ჯარიმა არანაკლებ 10 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №158 - ვებგვერდი, 04.11.2015 წ.

მუხლი 16. მსჯავრდებულის ელექტრონული კონტროლი (მონიტორინგი)

1. მსჯავრდებულის ელექტრონული კონტროლის (მონიტორინგის) საშუალება წარმოადგენს მსჯავრდებულის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის პერიოდში მისი გადაადგილების კონტროლის (მონიტორინგის) სპეციალურ საშუალებას. მსჯავრდებულს ელექტრონული კონტროლის (მონიტორინგის) სპეციალური საშუალება უფიქსირდება დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ყოფნის პერიოდში.

2. მსჯავრდებულის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ელექტრონული კონტროლის განხორციელების მიზნით მსჯავრდებელი ვალდებულია გამოცხადდეს შესაბამის პრობაციის ბიუროში.

3. მსჯავრდებულის ელექტრონულ კონტროლს ახორციელებს პრობაციის ეროვნული სააგენტო

მუხლი 17. მსჯავრდებულის დაწესებულებიდან გარეთ ხანმოკლე გასვლა, დანიშნულების ადგილზე მისვლა და დაწესებულებაში დაბრუნება

1. დაწესებულებიდან გასვლის წინ მსჯავრდებული უნდა გაეცნოს ამ წესს და გაფრთხილდეს მისი დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელ პასუხისმგებლობაზე.

2. დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ ჩანაწერები კეთდება მსჯავრდებულის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის მოწმობაში.

3. მსჯავრდებულის მოწმობას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ხანმოკლე გასვლის თაობაზე (დანართი №3) ავსებს დაწესებულების შესაბამისი მოსამსახურე.

4. მსჯავრდებული ვალდებულია დანიშნულების ადგილზე ჩასვლის ფაქტის დასადასტურებლად, დანიშნულების ადგილზე ჩასვლისთანავე გამოცხადდეს ადგილობრივ პრობაციის ბიუროში და წარუდგინოს დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის მოწმობა. არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსი მოწმობაში აკეთებს შესაბამის ჩანაწერს, აღრიცხვაზე აიყვანს მსჯავრდებულს და მიიღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ზომას.

5. დაწესებულებაში დაბრუნებისას დანიშნულების ადგილის დატოვების დღეს მსჯავრდებული გამოცხადდება შესაბამის პრობაციის ბიუროში, წარადგენს მოწმობას და დაადასტურებს მის მიერ დანიშნულების ადგილის დატოვებას. არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსი მოწმობაში აკეთებს შესაბამის ჩანაწერს და უბრუნებს მსჯავრდებულს. თუ დანიშნულების ადგილის დატოვების დღე არასამუშაო დღეა ან გამგზავრება ხორციელდება სამუშაო საათების დაწყებამდე, მსჯავრდებული დანიშნულების ადგილის დატოვების დასადასტურებლად პრობაციის ბიუროში გამოცხადდება დანიშნულების ადგილის დატოვების წინა სამუშაო დღეს.

6. დაწესებულებაში დაბრუნებისას მსჯავრდებული წარმოადგენს მოწმობას და ჩააბარებს ადმინისტრაციას, რის შესახებაც მოწმობაში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. მოწმობა დაერთვის მსჯავრდებულის პირად საქმეს.

მუხლი 18. მსჯავრდებულის ქცევის წესები

მსჯავრდებული ვალდებულია დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის პერიოდში დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი ქცევის წესები. იგი ვალდებულია:

- ა) დაიცვას მარშრუტი;
- ბ) არ დატოვოს დანიშნულების ადგილის ფარგლები (ქალაქი, რაიონი, დაბა, სოფელი);
- გ) საზოგადოების თავშეყრის ადგილებში არ ითამაშოს აზარტული თამაშები;
- დ) საზოგადოების თავშეყრის ადგილებში არ იმყოფებოდეს ნასვამ მდგომარეობაში;
- ე) არ მიიღოს მონაწილეობა დემონსტრაციებსა და მანიფესტაციებში.

დანართი №1

**დაწესებულების დროებითი დატოვების დროს
ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოძრაობის ბარათი**

ბრალდებული/მსჯავრდებული _____ ფოტოსურათი _____
 და _____
 სახელი _____ ბეჭედი _____
 გვარი _____
 პირადი ნომერი _____
 პირადობის მოწმობის ან პასპორტის სერია და ნომერი _____
 პირადობის მოწმობის ან პასპორტის გამცემი ორგანო, თარიღი _____
 დაბადების წელი, თვე, რიცხვი, ადგილი _____
 საცხოვრებელი ადგილი _____
 დაწესებულების დროებით დატოვების მიზეზი _____

 დანიშნულების ადგილი _____
 (ქალაქი, რაიონი, დაბა, თემი, სოფელი)
 ფაქტობრივი გაყვანა _____
 (თვე, რიცხვი, საათი)
 გადავეცი _____
 (ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადამცემის თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა)
 ჩავაბარე _____
 (პასუხისმგებელი ბადრაგის სახელი, გვარი, ხელმოწერა)
 დაბრუნების თარიღი _____

ფაქტობრივი დაბრუნება _____

(თვე, რიცხვი, საათი)

ჩავაბარე _____

(პასუხისმგებელი ბადრაგის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

მივიღე _____

ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაწესებულებაში მიმღების თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა)
ბეჭედი

დანართი №2

ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაფრთხილების ბარათი

მე, ბრალდებული/მსჯავრდებული

სახელი _____

გვარი _____

ვადასტურებ, რომ გავეცანი „პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წესს“ და გაფრთხილებული ვარ, რომ:

1. თუ მე დაწესებულების დროებით დატოვების ან დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლისას დავარღვევ ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს, რითაც თავს ავარიდებ თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდას, პასუხს ვაგებ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად.

2. ჩემ მიერ ამ წესის დარღვევა, რაც არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, ჩაითვლება დისციპლინის დარღვევად და სათანადო დადასტურების შემთხვევაში გამოიწვევს ჩემს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

(ბრალდებული/მსჯავრდებულის ხელმოწერა)

გავაფრთხილე

პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი

გაფრთხილების თარიღი _____

თანამდებობა _____

სახელი _____

გვარი _____

ხელმოწერა _____ ბეჭედი

მსჯავრდებულის მოწმობა
თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის თაობაზე

მსჯავრდებული

ფოტოსურათი

სახელი _____

ბეჭედი

გვარი _____

პირადი ნომერი _____

პირადობის მოწმობის ან პასპორტის სერია და ნომერი _____

პირადობის მოწმობის ან პასპორტის გამცემი ორგანო, თარიღი _____

დაწესებულება, მისამართი, ტელეფონი _____

დანიშნულების ადგილი _____

(ქალაქი, რაიონი, დაბა, თემი, სოფელი)

მარშრუტი, ტრანსპორტირების საშუალება _____

დაწესებულებიდან გასვლა _____

(თვე, რიცხვი, საათი)

გავუშვი _____

(დაწესებულების დირექტორის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

მსჯავრდებული ვალდებულია დაბრუნდეს _____

(დაწესებულებაში დაბრუნების თარიღი დეპარტამენტის დირექტორის ბრძანების შესაბამისად)

გამოცხადდა დანიშნულების ადგილის პრობაციის ბიუროში _____

(ქალაქი, რაიონი, დაბა, თემი, სოფელი)

(გამოცხადების თვე, რიცხვი, საათი)

(არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

დატოვა დანიშნულების ადგილი _____

(თვე, რიცხვი, საათი)

(არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

დაწესებულებაში დაბრუნება _____

(თვე, რიცხვი, საათი)

დაბრუნდა _____

(ოპერატიული მორიგის/ცვლის მენეჯერის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

მოწმობის დახურვა _____

დაწესებულების დირექტორის სახელი, გვარი, ხელმოწერა

ბეჭდის ადგილი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №158 - ვებგვერდი, 04.11.2015 წ.

დანართი №4

**ოქმი
გირაოს მიღების შესახებ**

გირაოს შემტანი პირი _____

(სახელი და გვარი)

დაბადების (წელი, თვე, რიცხვი, ადგილი) _____

მცხოვრები _____

პირადი ნომერი _____

პირადობის მოწმობის ან პასპორტის სერია და ნომერი _____

ვის მიერ არის გაცემული პირადობის მოწმობა ან პასპორტი, თარიღი _____

სამუშაო ადგილის დასახელება და დაკავებული თანამდებობა _____

ნათესაური ან სხვა კავშირი მსჯავრდებულთან _____

გირაოს სახით შემოტანილი თანხის ოდენობა _____ ლარი

საბანკო რეკვიზიტები _____

მე, გირაოს შემომტანი, გაფრთხილებული ვარ გირაოს პირობების შესაძლო დარღვევის შედეგად გამოწვეულ პასუხისმგებლობაზე და ვადასტურებ, რომ ვიღებ ვალდებულებას მსჯავრდებულ _____-ის

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

სათანადო ქცევისა და დაწესებულებაში დროულად გამოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე.

შემომტანი _____

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

გირაოს შეტანის თარიღი „____“ „_____“ 201 წ.

დაწესებულების დირექტორი

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

დაწესებულების ბეჭედი

დანართი №5

ხელწერილი თავდებობის შესახებ

თავდები პირი/პირები სახელი, გვარი, პირადი ნომერი, პირადობის მოწმობის ან პასპორტის სერია და ნომერი

რეგისტრაციის მისამართი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა

მე, თავდები ვადასტურებ, რომ თავდებში ვუდგები მსჯავრდებულ

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

გავეცანი „პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებითი დატოვების, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულების წესს“ და გაფრთხილებული ვარ შესაძლო პასუხისმგებლობაზე.

თავდები _____
(თავდები პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

თავდები _____
(თავდები პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

თავდები _____
(თავდები პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

თავდებობის თარიღი „_____“ „_____“ 201 წ.

ხელწერილი ჩამოართვა _____

(თანამდებობა, წოდება, სახელი, გვარი, ხელმოწერა)

ბეჭედი